

თანამშრომლობა მშვიდობასა და სოციალურ პასუხისმგებლობასთან

"მედიცინა საზოგადოებრივი მეცნიერებაა, ხოლო პოლიტიკა-მედიცინა, მხოლოდ დიდ ფარგლებში".

რუდოლფ ვირხოვი

ჩვენ, სტუდენტი-მედიკოსები უოველგვარ შესაძლებლობებს მივმართავთ, რომ დავიცვათ ჩვენი პაციენტები მანვე ზემოქმედებისგან და ხელი შევუწყოთ მათ გამოჯანმრთელებას. მედიცინაში არ არის საკმარისი მხოლოდ სიმპტომების მკურნალობა, კარგი ექიმი ცდილობს შეიცნოს მიზეზი, რომელიც იმალება პაციენტის ავადმყოფობის უკან, რადგანაც ეს ითვლება მათთვის დახმარების გაწევის საუკეთესო გზად. უხლა კი წარმოიდგინეთ მთელი მსოფლიო თქვენს პაციენტად _ მისი ომებით, შიმშილით და უსმართლობით. იქნებით თუ არა თქვენ კმაყოფილი მხოლოდ სიმპტომების ლიკვიდირებით?

1980 წელს, ცივი ომის დროს, ორი ექიმი აშშ-დან და სსრკ-დან დალაღა თავიანთ სახელმწიფოთა შორის, შეიარაღებაში ჯიბრმა. მათ ერთად ჩამოაყალიბეს ორგანიზაცია **IPPNW**-მსოფლიოს ექიმები ატომური ომის წინააღმდეგ.

IPPNW მიზნები:

- _ შეწყვიტოს უველანაირი ომი.
- _ ხელი შეუწყოთ კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას.

მოახდინოს ომის ზეგავლენის მინიმალიზაცია მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, განვითარებაზე და გარემო პირობებზე.

მონაწილეობის მიღება სტუდენტთა საერთაშორისო პროექტებში

დღეს **IPPNW** წარმოადგენს გლობალურ ნაციონალურ სამედიცინო ორგანიზაციათა ფედერაციას 58 ქვეყანაში, რომლის მთავარი მიზანია მშვიდობისთვის ბრძოლა და სოციალური პასუხისმგებლობის გაზრდა. საერთაშორისო სტუდენტური მოძრაობა არის გლობალური ქსელის ნაწილი და დაინტერესებულ სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას მიიღონ მონაწილეობა ორგანიზაციის საქმეში:

THE MEDICALEXCHANGE PROGRAM (MedEx)-სტუდენტთა გაცვლითი პროგრამა, აძლევს სტუდენტებს შესაძლებლობას გაიარონ სამედიცინო პრაქტიკა და მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ პროექტებში სხვადასხვა ქვეყანაში, როგორებიცაა ზამბია, კანადა, ფილიპინები, ირლანდია და კენია.

THE REFUGEE CAMP PROJECT (ReCap) - დევნილთა ბანაკის პროექტი, იძლევა შესაძლებლობას სტუდენტებმა იცხოვრონ და იმუშაონ ასეთ ბანაკებში. 2004 წლის ზაფხულში **IPPNW** ს სტუდენტთა ჯგუფმა პალესტინაში მოინახულა იძულებით გადაადგილებულ პირთა ბანაკი ქ. ბეთლემთან ახლოს. აქ ისინი მუშაობდნენ და აკვირდებოდნენ დევნილთა ცხოვრების პირობებს.

THE NUCLEAR WEAPONS INHERITANCE PROJECT (NWIP) - ატომური იარაღი, როგორც მემკვიდრეობა ეს პროექტი აძლევს სტუდენტებს შესაძლებლობას იმოგზაურონ ატომურ სახელმწიფოებში, როგორებიცაა პაკისტანი, რუსეთი, საფრანგეთი, ჩინეთი, აშშ, ინდოეთი და დიდი ბრიტანეთი. მათი მიზანია დიალოგების გამართვა სტუდენტებთან და ხალხთან, რომლებიც მსჯელობენ თავიანთი ქვეყნის ატომურ პოლიტიკაზე.

მსოფლიოს უველა ქვეყნის სამედიცინო სტუდენტთა შეხვედრები

სტუდენტური მოძრაობა **IPPNW** შედგება ათასობით აქტიური სტუდენტისაგან. ლოკალური სტუდენტური ჯგუფები ადგენენ პროექტებს,

სამედიცინო დახმარების გაწევის შესახებ, მოსახლეობის იმ კონტიგენტისთვის რომლებსაც არ შეუძლიათ მისი მიღება. ატომური შეიარაღების წინააღმდეგ გამოსვლა;

გავლენა საზოგადოებრივ აზრზე; თემატური შეხვედრების ჩატარება, ლექციების კითხვა, რომლებიც ხელს უწყობენ საზოგადოებრივი თვითშეგნების ამაღლებას.

უველა წელს სტუდენტები ხვდებიან რეგიონალურ კონფერენციებზე სადაც ხდება სხვადასხვა ასპექტების გარჩევა, იდეების, შეხედულებების, ინფორმაციის გაცვლა. უოველ ორ წელიწადში ტარდება მსოფლიო სამიტი, სადაც სტუდენტებს სხვა და სხვა კონტინენტიდან ეძლევათ საშუალება გაეცნონ ერთმანეთს.

შეცვალეთ რაიმე უკეთესობისაკენ.

თავისი მოკლე ისტორიის მანძილზე **IPPNW** სერიოზული წვლილი შეიტანა მსოფლიო უსაფრთხოების ფორმირებაში. ცივი ომის პერიოდში მუშაობისთვის ორგანიზაციამ მიიღო ნობელის პრემია 1985 წელს და იუნესკოს პრემია 1984 წელს.

ბოლო წლებში **IPPNW** სტუდენტები იყვნენ გამორჩეულად აქტიურები, ისინი აჯალიბდნენ საზოგადოებრივ აზრს, ატარებდნენ გაცვლით პროგრამებს, ავრცელებდნენ ინფორმაციას ხალხში, იწვევდნენ სტუდენტთა მზარდ მასებს, რომელთაც ბრწყინვალედ გაითავისეს თავიანთი მოწოდება. 1994 წელს სამედიცინოს სტუდენტებმა ჩაატარეს დემონსტრაცია იაფფასიანი ცეცხლსასროლი იარაღის წინააღმდეგ, რამაც მიგვიყვანა მის აკრძალვამდე.

ჩვენ გვჯერა, როგორც სამედიცინოს სტუდენტებს, უნდა გვქონდეს პასუხისმგებლობის განსაკუთრებული გრძნობა, არ უნდა ვიყოთ გულგრილები, უნდა მივწვდინოთ ჩვენი ხმები მსოფლიოს.

და რა თქმა უნდა "ეს უოველთვის სასიამოვნოა"

სტუდენტურ ორგანიზაციაში მონაწილეობა უოველთვის სასიამოვნოა და არა აქვს მნიშვნელობა, მონაწილეობთ ლოკალურ ჯგუფებში თუ საერთაშორისო პროექტებში, თქვენ ზრდით ნაცნობთა წრეს, იძენთ ახალ მეგობრებს და ხსნით თქვენს წინაშე ახალ სამუაროს თქვენი უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ.

თუ თქვენ დაინტერესდით და გაურთ გაიგოთ უფრო მეტი, ნუ დაუოვნებთ, დაგვიკავშირდით ელექტრონული ფოსტით ან მოინახულეთ ჩვენი ვებ-გვერდი;

ვიმედოვნებთ მალე შევხვდებით ერთმანეთს..

საერთაშორისო წარმომადგენლები: კაჰენდრა დაჰალი (ნეპალი) და ალექს როუზენი (გერმანია)

info@ippnw-students.org

სტუდენტური მოძრაობა **IPPNW** :


მშვიდობის იდეის და სოციალური პასუხისმგებლობის გაზრდა მედიცინაში

საერთაშორისო სტუდენტურ პროექტებში მონაწილეობა

სამედიცინო სტუდენტთა შეხვედრები.

იმის შეცნობა, რომ თქვენ შეგიძლიათ შეცვალოთ რაღაც უკეთესისაკენ და გაზარდოთ თქვენი არეალი.

ეს ყოველთვის სასიამოვნოა!!!



Is All About...
Is All About...

- Promoting peace & social responsibility in medicine
- Engaging in international student projects
- Meeting medical students from around the world
- Making a difference for other, expanding your horizon

And of course it's always fun!!!

www.ippnw-students.org